საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი:

ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათ შორის, „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ 2013 წლის 7 მარტისა და „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ 2016 წლის 29 დეკემბრისა და 2020 წლის 25 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის რეზოლუციებს;

ხელმძღვანელობს რა საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოხატული ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის ურყევი ნებით, ისტორიული არჩევანით, რომელიც ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში და გულისხმობს „ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“ საჭირო ყველა ნაბიჯის გადადგმას;

ითვალისწინებს რა საქართველოს მოქალაქეთა სწრაფვას, საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი და

ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყანა, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი,

აცხადებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ევროკავშირში ინტეგრაცია მისი დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა და საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია;

მიესალმება 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შედეგად საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და აღნიშნავს, რომ საქართველო რჩება ევროკავშირის ერთგულ მოკავშირედ და დემოკრატიის საყრდენად რეგიონში;

აღნიშნავს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტით) შესრულება ქვეყანაში კეთილდღეობის ზრდისა და სტაბილურობის განმტკიცების, აგრეთვე საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის მნიშვნელოვანი საფუძველია;

მიესალმება რა 2017 წელს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ამოქმედებას და შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეების უვიზოდ გადაადგილების შესაძლებლობის მიღებას, მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებთან, ისე ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტი:

მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, გააძლიეროს ძალისხმევა საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მიზნით, რათა საქართველო სათანადოდ მოემზადოს ევროკავშირის წევრობისთვის;

მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ევროკავშირს, ხელი შეუწყონ ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილეობის გაზრდას, აგრეთვე ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს დაჩქარებული წესით ინტეგრაციას;

მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, გააღრმავებს საქართველოს სატრანსპორტო კავშირებს როგორც ევროკავშირთან, ისე პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო კავშირების განვითარებით;

მოუწოდებს ევროკავშირს, მაღალ დონეზე ჩაერთოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების, აგრეთვე საქართველოსა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის პროცესში და გააძლიეროს ძალისხმევა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის სრულფასოვნად განსახორციელებლად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მანდატის შესაბამისად მისი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვების მიზნით;

მოუწოდებს ევროკავშირს, უზრუნველყოს 2020 წლის 7 დეკემბერს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს მიერ მიღებული ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის ევროკავშირის გლობალური სანქციების რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებელ პირებზე გავრცელება ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევისა და მოქალაქეების უკანონო დაკავების შეწყვეტის მიზნით;

მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს, საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 3 მარტს გაკეთებული ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის საფუძველზე, 2022 წლის 10 მარტს ევროპული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლით გათვალისწინებული ევროპული პერსპექტივის შესაბამისად გადადგან საქართველოს ევროკავშირში გაწევრების დასაჩქარებლად საჭირო ყველა ნაბიჯი.

თბილისი,

2022 წლის 15 მარტი.

№1409-VIIIმს-Xმპ